ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 33-131

"29" დეკემბერი 2015 წ.

ქ. თბილისი

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამის განხორციელების წესის" დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 2 მარტის №4-14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „უ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 64-ე მუხლის ,,ა" ქვეპუნქტისა და 68-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,კ" ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. შევიდეს ცვლილება „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამის განხორციელების წესის" დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 2 მარტის №4-14 დადგენილებაში (სსმ ვებგვერდი, www.matsne.gov.ge 09/03/2015, სარეგისტრაციო კოდი 280010000.35.101.016127) და დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებულ „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამის განხორციელების წესში" და წესის:

ა) პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

ეს წესი განსაზღვრავს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შემდგომში - შშმ) პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსების განხორციელების პირობებს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 06 02 28 კოდით გათვალისწინებული ქვეპროგრამის ფარგლებში."

ბ) მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 6. ქვეპროგრამით გათვალისიწინებული დაფინანსების წესი

1. ქვეპროგრამით გათვალისწინებული ხელშეწყობის დაფინანსება ხორციელდება განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი სოციალური დახმარების, არამატერიალიზებული ვაუჩერის ან საპროექტო განაცხადის საფუძველზე. შენიშვნების შემთხვევაში სამსახური უფლებამოსილია მოსთხოვოს განმცხადებელს განაცხადის კორექტირებული ვარიანტის წარმოდგენა.

2. სამსახურის მიერ, შემოსული დოკუმენტაციის საფუძველზე, ხორციელდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურისათვის წერილის მომზადება, შესაბამის მოსარგებლისათვის თანხის გადარიცხვის მოთხოვნით.

3. ქვეპროგრამით გათვალისწინებული გაწეული ხელშეწყობისა და შესრულებული სამუშაოს ანგარიშის ზედამხედველობა ხორციელდება სამსახურის მიერ.

4. პროგრამის ძირითადი დაფინანსება განხორციელდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესაბამისი ასიგნებების ფარგლებში.

5. ამ წესის მოქმედება არ ვრცელდება იმ დახმარებებზე, რომელზედაც თანხები გამოიყოფა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის - ქვეპროგრამაში (კოდი 06 02 28) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გადატანილი თანხების ფარგლებში.“

გ) მე-8 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. შესრულებულ სამუშაოზე ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.“

დ) მე-8 მუხლის მეორე პუნქტის "გ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"გ) წარმოდგენილი სამუშაოს ღირებულება;"

2. წინამდებარე დადგენილება ამოქმედდეს 2016 წლის 1 იანვრიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ალიბეგაშვილი**